თამარ ერისთავი

თამარ ერისთავი დაიბადა 1908 წლის 25 დეკემბერს, ქუთაისში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის პედაგოგიურ ტექნიკუმში. ამ პერიოდიდან დაინტერესდა თეატრალური ხელოვნებით, ესწრებოდა ქუთაისის თეატრის ყველა წარმოდგენას. 1929 წლიდან მუშაობა დაიწყ ქუთაისის თეატრში, სცენის თანამშრომლად. ერთი წლის შემდეგ თეატრზე შეყვარებული ნიჭიერი გოგონა რეჟისორმა მიხეილ ქორელმა ქუთაისის დასში მსახიობად აიყვანა.

ქუთაისის შემდეგ, 1932-1933 წლებში თბილისში, სატირის თეატრში გადავიდა, მომდევნო სამი წელი ნაძალადევის მუშათა თეატრის მსახიობი იყო. 1935-1937 წლებში თბილისის ჯანმრთელობის კომისარიატის სახალხო თეატრის სცენაზე იდგა, 1937-1938 წლებში კი კახეთში, ველსიციხის თეატრში მუშაობდა.

1938-1942 წლებში თამარ ერისთავი ჭიათურის თეატრის, 1943-1949 წლებში კი გ. ერისთავის სახლეობის გორის სახლმწიფო თეატრში ეწეოდა სამსახიობო საქმიანობას. 1949-1952 წლების სეზონში მუშაობდა ზუგდიდის თეატრში, 1952 წლიდან კი კვლავ გორის თეატრს დაუბრუნდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული თეატრალური განათლება არ ჰქონდა მიღებული, თამარ ერისთავი იყო წამყვანი მსახიობი, გამოირჩეოდა მაღალი სცენური ოსტატობით. შეასრულებული აქვს ორასამდე როლი, რომელთაგან აღსანიშნავია: დესპინე - შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“, ნელი – ქელბაქიანის პიესა „დაგვიანებული სინანულიდან“, გვირისტინე – პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებიდან“, დარეჯანი – ვ. ყიფიანის „სამეგრელოს თავადი ლევანიდან“, რუქაია და ზეინაბი – სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატიდან“, თამარი – შალვა დადიანის „შოთა რუსთაველიდან“, ამალია – შილერის „ყაჩაღებიდან“, ემილია – შექსპირის „ოტელოდან“ და სხვ.

1950 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, ამავე წელს აირჩიეს ზუგდიდის ქალაქის საბჭოს დეპუტატად, 1951 წელს - ქალაქის სახალხო მსაჯულად. დაჯილდოვებულია სხვადასხვა სახელმწიფო მედლებით და წოდებებით (1941-1946 წლები).

თამარ ერისთავის გარდაცვალების თარიღი უცნობია.

მსახიობის არქივი 14 ერთეულისგან შედგება. კოლექციაში დაცულია მისი ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი მასალები, რომლებიც საინტერესო იქნება თეატრთმცოდნეთათვის.

თამარ ერისთავის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივო მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ავტობიოგრაფია

1. თამარ ერისთავის ავტობიოგრაფია.
1940 წ. 31 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. ხელს აწერს – თამარ ერისთავი. 1 გვ.

2. თამარ ერისთავის ავტობიოგრაფია.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ხელს აწერს – თამარ ერისთავი. 2 გვ.

3. თამარ ერისთავის ავტობიოგრაფია.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ხელს აწერს – თამარ ერისთავი. 2 გვ.
პირი: გიორგი თუთბერიძე, მიხეილ ქორელი, ნუცა ჩხეიძე, მიხეილ გელოვანი, ნუნუ მაჭავარიანი, გიორგი შავგულიძე, შოთა მანაგაძე, ნანა ჩიხლაძე, სოსო მებურიშვილი, გიორგი ლაღიძე, თიკო ღვინიაშვილი, საშა იმედაშვილი, პავლე ფრანგიშვილი, სოფრომ ცომაია, თამარ აბაშიძე, გიორგი გორდაძე, გიორგი ნუცუბიძე, მიშა ვაშაძე, გრიშა ტყაბლაძე, გოგუცა ივერიელი, შალვა ხერხეულიძე, საშა კალანდარიშვილი, შოთა ხაჟალია, გიორგი ფრონისპირელი, შაქრო გომელაური, ოთარ ალექსიშვილი, შოთა გვაზავა, ვასილ ყუშიტაშვილი, გიორგი ლომაია, გიორგი გაბუნია.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელნი. შავი და წითელი ფანქარი. რვეული 12 გვ.

კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, საკვალიფიკაციო ფურცელი, ცნობარი

4. თამარ ერისთავის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939 წ. 8 ივლისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. ხელს აწერს – თამარ ერისთავი. ერთვის თ. ერისთავის ფოტო. 4 გვ.

5. სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული თამარ ერისთავის ცნობარი.
1954 წ. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. ხელს აწერს – თამარ ერისთავი. ერთვის თამარ ერისთავის მიერ შესრულებული როლების სია. 5 გვ.

6. გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრის მიერ გაცემული თამარ ერისთავის საკვალიფიკაციო ფურცელი.
1954 წ. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. ხელს აწერს – თამარ ერისთავი. ერთვის თამარ ერისთავის მიერ შესრულებული როლების სია. 6 გვ.

7. თამარ ერისთავის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1967 წ. 13 დეკემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

ბრძანება, განცხადება, მიმართვა, დახასიათება

8. ჭიათურის სახელმწიფო თეატრის დირექციის მიერ გაცემული ბრძანება, სამსახურში დაგვიანების გამო, ამავე თეატრის მსახიობ თამარ ერისთავისთვის საყვედურის გამოცხადებასთან დაკავშირებით,
1940 წ. 19 აგვისტო. ბეჭედდასმული. ხელნაწერი. ხელს აწერს – ჭიათურის თეატრის დირექტორი – ცომაია. 1 გვ.

9. თამარ ერისთავის განცხადება საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილისადმი, გორის თეატრში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით.
1943 წ. 7 იანვარი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს – თამარ ერისთავი. 1 გვ.

10. გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრის დირექციის მიერ გაცემული მიმართვა საქართველოს თეატრალური მუზეუმისადმი, ამავე თეატრის მსახიობ თამარ ერისთავის დაბადებიდან 50 და შემოქმედებითი საქმიანობის 30 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთვის მასალების გაგზავნის შესახებ.
1957 წ. 18 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. მელანი. ხელს აწერს – გორის სახელმწიფო თეატრის დირექტორი – გ. ნავროზაშვილი. 1 გვ.

11. გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრის დირექციის მიერ გაცემული თამარ ერისთავის დახასიათება, სამსახიობო გამოცდილებასა და მიღებულ ჯილდოებათან დაკავშირებით, ხელფასის მითითებით.
უთარიღო. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. მელანი. ხელს აწერენ: გორის სახელმწიფო თეატრის დირექტორი – ს. ვაჩნაძე, მთავარი რეჟისორი – გრ. ლაღიძე. 1 გვ.

სტენოგრამები

12. თამარ ერისთავის შემოქმედებითი საღამოს სტენოგრამა. (გაიმართა ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში).
პირი: ი. ჩიქავა, მიხ. ტუსკია, ნ. გოძიაშვილი, სერგო გერსამია, ნ. კევლიშვილი, ლ. მილორავა, შ. გვაზავა, კონსტანტინე ნაროუშვილი, ა. როგავა, გრ. ფიფია, აკ. ინჯია, ნ. დეისაძე, ნ. ზალდასტანიშვილი, მ. დენისაშვილი, მ. ახვლედიანი, ა. ენუქიძე, ვ. კვიტაშვილი, ვ. ჯიშკარიანი, ნ. ურუშაძე, გიორგი გაბუნია, ნუცა ჩხეიძე, გიორგი თუთბერიძე, სოსო მებურიშვილი, პავლე ფრანგიშვილი, თინა ჭილაია, დინარა ლუკავა, ა. ცხადაშვილი, აკ. შანიძე, ვასილ ყუშიტაშვილი, გ. ქელბაქიანი, გრ. ტყაბლაძე,

გოგოებაშვილი, ხაჯალია, ი. ხვიჩია, ნ. სღარაძე, თამარ აბაშიძე, კუხიანიძე, ც. წერეთელი, ლ. ჭელიძე, ვ. მჭედლიძე, გიორგი ჩიტაევი, მანია ჩიტაევი, ალ. შონია, ვანო ოსაძე, გიორგი შავგულიძე, დოდო ანთაძე, უშანგი ჩხეიძე.
1952 წ. 24 ნოემბერი. ზუგდიდი. ნაბეჭდი. 28 გვ.

პროგრამა, მოსაწვევი ბარათი

13. თამარ ერისთავის შემოქმედებითი საღამოს პროგრამა.
მოხსენება: გ. გაბუნია, ნ. გოძიაშვილი, შ. გვაზავა, თ. ჭილაია, კ. ნაროუშვილი, გ. ფიფია.
1952 წ. 24 ნოემბერი. ზუგდიდი. სტამბური. 1 ც. 5 ეგზ.

14. თამარ ერისთავის დაბადებიდან 50 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
მოხსენება – ნ. გოძიაშვილი.
1959 წ. 26 ოქტომბერი. გორი. სტამბური. 1 ც.